ოქმი N6

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი

2022 წლის 29 ივლისი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 28 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით და კიდევ ერთხელ სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს და გამარჯვება უსურვა ამ უსამართო და უთანასწორო ბრძოლაში.

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ბ. შონია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი);

2. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ზაქარაია, ს. ბერაია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ბ. შონია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი)

მოისმინეს: ბ. შონია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: თ. ქირია - საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი - გამომსვლელი დაინტერესდა ქალაქის ცენტრში პარკის მშენებლობის მესამე ეტაპით დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებით შესაბამისი ბანერი რატომ არ იყო განთავსებული ქალაქის ტერიტორიაზე?

გ. ჩაბალუხა - მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - გამომსვლელმა განმარტა, რომ სადაც პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები ხორციელდება განთავსებულია შესაბამისი ბანერი, პარკის მშენებლობის დასაწყისში ქალაქის ცენტრში არსებული ტაძრის მიმდებარედ და მშენებლობის დასასრულში კერძო სკოლა „არეას“ მიმდებარე ტერიტორიაზე.

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა მიმართა მერიის შესაბამის სამსახურს და განაცხადა, რომ მერიაში არსებული სოციაურ საკითხთა კომისიის წევრები, როდესაც გადიან მუნიციპალიტეტის სოფლებში სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობის დახმარების საჭიროების შესწავლის მიზნით, მაშინ აუცილებელია გასვლის წინ ინფორმაცია მიაწოდოთ ამავე კომისიის წევრებს საკრებულოდან, რათა ისინიც ჩაერთონ არსებული პრობლემის მოგვარებაში სოფლის მაჟორიტარ დეპუტატებთან ერთად.

მ. ქარდავა - გამომსვლელმა მიმართა მერიის სამსახურებს სანამ საკრებულოში პროექტს წარმოადგენდნენ საკრებულოს შესაბამის კომისიებთან რომ იყოს შეთანხმებული

საკითხები. მისი თქმით ბოლო 6 წელია მერია და საკრებულო თითქოს გაუცხოებულები არიან და ეს ნამდვილად არ არის კარგი მუნიციპალიტეტის წინსვლისთვის.

მ. ჩარტია - საკრებულოს ფრაქცია "ხობი-საქართველოსთვის" წევრი - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ხამისქურის ადმინისტრაციული ერთეულის ერთ-ერთ უბანში, მისი სახლის წინ 5 წელია ვერ მოგვარდა არსებული პრობლემა ხიდბოგირთან დაკავშირებით და ითხოვა არსებული პრობლემის დროულად მოგვარება.

გ. ჩაბალუხა - გამომსვლელმა განმარტა, რომ აღნიშნული პრობლემა განხილულ იქნება და თანხის არსებობის შემთხვევაში მოგვარდება არსებული პრობლემა.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან 140,0 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი) მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია" ასიგნებაზე 68,6 ათასი ლარი, აქედან: 4,5 ათასი ლარი ქვეპროგრამის ,,ხიდების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა". 50,0 ათასი ლარი ქვეპროგრამის ,,სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია"; 14,1 ათასი ლარი პროგრამის ,,სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია". პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია" ასიგნებაზე; 71,4 ათასი ლარი, აქედან: გ.ბ.ა) 71,4 ათასი ლარი - პროგრამის ,,მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა" ასიგნებაზე, მათ შორის: 71,4 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი ოჯახების სახლების შესაკეთებლად მასალების შეძენის ასიგნება. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ი. ზაქარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N10 ოქმს თან ერთვის)

2. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მისი საქმიანობის პროცესში, მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საინფორმაციო უზრუნველყოფა, რომლის ფარგლებშიც მერიის საინფორმაციო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები მუდმივად არიან ჩართულნი სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით არაერთ საკომუნიკაციო პროგრამასა და ჯგუფში. საკომუნიკაციო პროგრამების უმრავლესობა ფუნქციონირებს ინტერნეტის წყაროზე. მერიის საინფორმაციო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების 24 საათიანი ინტენეტით უზრუნველყოფის მიზნით, მერიის მხრიდან მიზანშეწონილად ჩაითვალა, მათთვის ფიჭური სატელეფონო მომსახურების (კორპორაციული საავანსო ნომრების) დამატებითი ლიმიტების დაწესება, ინტერნეტისთვის. განხორციელებული ცვლილებით გამოწვეული დამატებითი ხარჯები კომპენსირებული იქნება ადგილობრივი ბიუჯეტით ფიჭური კავშირგაბმულობის ხარჯებისთვის გათვალისწინებულ ასიგნებებში არსებული ეკონომიით და ადგილობრივ ბიუჯეტში დამატებითი თანხების მობილიზება საჭირო არ არის. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: ი. ზაქარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N13 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2022 წლის 29 ივლისის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. მედეა თათარიშვილი
4. ლევანი ლიპარტია
5. დოდო გაბუნია
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ბექა მამაცაშვილი
8. აკაკი მალანია
9. მალხაზი იოსავა
10. ქეთევან კვირიკაშვილი
11. ბადრი რიჟამაძე
12. მზია ლემონჯარია
13. ჯანსუღი ჯიშკარიანი
14. ფელიქსი წურწუმია
15. ნუგზარ შუშანია
16. ლელა ალანია
17. ლევანი ლაშხია
18. გივი ლატარია
19. კობა გერგაია
20. აკაკი ხურცილავა
21. ნინო ბოკუცავა
22. თამარი ქირია
23. ბექა ხარბედია
24. ვეფხვია ფოცხორაია
25. გურიელ ქარდავა
26. მოგელი ხუხია
27. სერგო ბერაია
28. მაკა ჩარტია